საქართველოს თავდაცვის მინისტრის

ბრძანება №24
2018 წლის 16 მარტი

ქ. თბილისი

„საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის J-4 ლოგისტიკის დაგეგმვის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2016 წლის 16 დეკემბრის №93 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის J-4 ლოგისტიკის დაგეგმვის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2016 წლის 16 დეკემბრის №93 ბრძანებით (ვებგვერდი, 16/12/2016, სარეგისტრაციო კოდი: 120340000.22.026.016439) დამტკიცებულ დებულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და დებულების:

1. მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 2. დეპარტამენტის ამოცანა

დეპარტამენტის ამოცანაა:

ა) საქართველოს შეიარაღებული ძალების ლოგისტიკური ოპერაციებისა და ლოგისტიკური მარაგების დაგეგმვა;

ბ) საქართველოს შეიარაღებული ძალების ინფრასტრუქტურის განვითარების მოკლევადიანი გეგმების შემუშავება, აგრეთვე საქართველოს შეიარაღებული ძალების სტრატეგიული გეგმების მხარდასაჭერად ინფრასტრუქტურის განვითარების გრძელვადიანი გეგმების შემუშავება.".

2. მე-3 მუხლს დაემატოს „ლ" ქვეპუნქტი შემდეგი რედაქციით:

„ლ) საქართველოს შეიარაღებული ძალების სტრატეგიული განვითარების გეგმის მხარადასაჭერად ინფრასტრუქტურის განვითარების ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა და შესაბამისი გეგმების შემუშავება.".

3. მე-4 მუხლის:

ა) პირველ პუნქტს დაემატოს „ე" ქვეპუნქტი შემდეგი რედაქციით:

„ე) ინფრასტრუქტურის დაგეგმვის განყოფილება.".

4. მე-2 პუნქტს დაემატოს „ე" ქვეპუნქტი შემდეგი რედაქციით:

„ე) ინფრასტრუქტურის დაგეგმვის განყოფილება – შეიარაღებული ძალების ინფრასტრუქტურის ობიექტებზე სტრატეგიული განვითარების გეგმის მხარდასაჭერად, სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების, კომუნალური მომსახურებისა და სათბობ-ენერგეტიკული რესურსების დაგეგმვა და მონიტორინგი.".

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2018 წლის 18 მარტიდან.

საქართველოს თავდაცვის მინისტრი **ლევან იზორია**